

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის
საგანმანათლებლო პროგრამა
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

აკადემიური ხარისხი: ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
ბაკალავრი



პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა	240 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული

პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დეკლარირებული მისიიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ოპტიმალურ შედეგზე ორიენტირებული მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის სრულფასოვანი წევრის - ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის მომზადებას, რომელიც

- ფიზიკური და კოგნიტიური ფუნქციის, აქტივობის, ჩართულობის ხელშეწყობის, პერსონალური თუ გარემო ფაქტორების მოდიფიკაციის გზით უზრუნველყოფს ნებისმიერ ასაკში ქმედუნარიანობის შეზღუდვით მიმდინარე პათოლოგიების პრევენციას, დიაგნოზის დადგენასა და რეაბილიტაციურ მართვას, მწვავე თუ ქრონიკული კონდიციის შემთხვევაში ფუნქციური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე მიმართული სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელებას;
- დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმით აღწევს თავისი პრაქტიკის სრულყოფას და კარიერულ წინსვლას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლების ატესტატი.

საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.



სწავლის შედეგები

დარგობრივი კომპეტენციები:

- აქვს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური მეცნიერებების, ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნა, პროფესიის საფუძვლებისა და პრინციპების თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები;
- იცნობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პრინციპებს და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას, გაცნობიერებული აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს დანიშნულება მასში;
- იცნობს რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას;
- იცნობს პროფესიული საქმიანობის ძირითად პროცედურებსა და ტექნიკას;
- იცნობს სარეაბილიტაციო პროგრამებს და მათ ძირითად ჩვენებებს;
- იცის და გაცნობიერებული აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, აცნობიერებს სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის თანამედროვე გზებს;
- გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის პროცესში მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის პრინციპებისა და ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობის და ჯანმრთელობის ბიოფსიქოსოციალურ მოდელის გამოყენებით შეუძლია:

- შეუძლია სარეაბილიტაციო პრაქტიკასა და კვლევაში გამოიყენოს ფიზიკური თერაპიის და რეაბილიტაციის მეთოდები, კომპეტენციის ფარგლებში;
- შეუძლია დაადგინოს რეაბილიტაციის ჩვენებები; შეუძლია რეაბილიტაციის პროცესში ფუნქციის აღდგენის მიზნით ფიზიკური თერაპიის, სხვადასხვა ფიზიოთერაპიული მოდალობის, ოკუპაციური თერაპიის და რეაბილიტაციური საშუალებების, მეთოდების, ტკივილის მართვის და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება;
- შეუძლია, კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა აღჭურვილობა, ასისტირების ტექნოლოგიები (ორთეზები, პროთეზები და სხვ.) და ტექნიკური დახმარების საშუალებების დანიშვნა/გამოყენება სხეულის სტრუქტურის და ფუნქციის გაუმჯობესებისა და აღდგენისათვის;
- უნარი შესწევს სარეაბილიტაციო პრაქტიკაში გამოიყენოს მტკიცებითი მედიცინის პრინციპები;
- რეაბილიტაციური პროგრამის და მისი ძირითადი ჩვენებების დადგენაში მონაწილეობა, გუნდის წევრების შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება და კოორდინირება, რთული და გაუთვალისწინებელი გარემოებების სათანადო მართვა მულტიპროფესიულ გუნდში ოპტიმალური შედეგის მისაღწევად;
- კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია გააწიოს კონსულტაცია პაციენტს, მის ოჯახის წევრებს ან სერვისის მიმწოდებლებს და აწარმოოს შესაბამისი საგანმანათლებლო აქტივობა;



- დროული, ეფექტური და უსაფრთხო სარეაბილიტაციო პრაქტიკის წარმოება უუნარობისა და რეაბილიტაციის არსებული რეგულატორული მექანიზმების, ქვეყნის სოციალური სისტემის, ეთიკური ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვით.
- უნარი შესწევს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე არასრული და განყენებული მონაცემების შეგროვების, კრიტიკული ანალიზისა და განმარტების შედეგად, დასაბუთებული დასკვნის გაკეთება;
- უნარი შესწევს დროულად ამოცნოს დევიაციები, რისკები, პაციენტის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გაითვალისწინოს პაციენტის გარემოსთან დაკავშირებული კონტექსტუალური ფაქტორები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და სამედიცინო გუნდთან შეთანხმებით მიიღოს შესაბამისი ზომები ან საჭიროების შემთხვევაში იმოქმედოს დამოუკიდებლად.
- უნარი შესწევს ქართულ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან ჯანმრთელობის მონიტორინგის და სარეაბილიტაციო სერვისის ეფექტური უზრუნველყოფის მიზნით;
- შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს თვითგანათლების პროცესი;
- აქვს უნარი განაახლოს თეორიული ცოდნა და შეიძინოს ფიზიკური რეაბილიტაციის განხორციელებისთვის სჭირო პრაქტიკული უნარები;
- მოქმედებს პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად.
- აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

ზოგადი კომპეტენციები:

- ცოდნა და გაცნობიერება: აქვს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; კრიტიკულად გაიაზრებს სფეროს თეორიებსა და პრაქტიკულ პრინციპებს, სფეროს კომპლექსურ საკითხებს; გაცნობიერებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით; შეუძლია კვლევითი უნარების და მტკიცებითი მედიცინის პრინციპების გამოყენება.
- დასკვნის უნარი: შეუძლია სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გადაჭრის სარწმუნო, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება; სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, ანალიზი, შეჯამება და სხვადასხვაგვარი მონაცემების კომპლექსური შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- კომუნიკაციის უნარი: შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ზეპირად ან/და წერილობითი ანგარიშის სახით გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება



- სწავლის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია პროფესიული ცოდნის განახლება და გაუმჯობესება
- ღირებულებები: მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის კომპონენტები

კვლევაზე და ფაქტებზე დამყარებული პროგრამა შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტულ პროიორიტეტებს და მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პაციენტთა განათლება
- დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მართვა
- ქცევითი მეცნიერებები
- ბიოსამედიცინო მეცნიერებები
- კლინიკური მეცნიერებები
- ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციური მეცნიერებები
- კვლევითი უნარ-ჩვევები
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები
- პროფესიული და ეთიკური
- ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები
- მენეჯმენტი და ლიდერობა

ცოდნის მოცულობა

ბაკალავრიატის საფეხურზე:

- a. ფუნდამენტური დისციპლინების ცოდნა – სამედიცინო ბიოლოგია და გენეტიკა, სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა, სამედიცინო ქიმია, სამედიცინო ბიოქიმია, ანატომია დინამიკური ანატომიით, ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია და ემბრიოლოგია, მიკრობიოლოგია, ფარმაკოლოგიის საფუძვლები, პათოლოგია, ბიომექანიკა, კინეზიოლოგია და მოტორული კონტროლი;
- b. კლინიკური დისციპლინების ცოდნა – დიაგნოსტიკის საფუძვლები, შინაგანი დაავადებები, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ორთოპედია, რევმატოლოგია, პედიატრია, მეანობა და გინეკოლოგია, ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, რადიოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა, დერმატოლოგია, გერიატრია, ონკოლოგია;
- c. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა – ფსიქოლოგიის საფუძვლები, სამეცნიერო კვლევის და მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ბიოსტატისტიკა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სოციოლოგიის საფუძვლები, ჰიგიენა, ბიოეთიკა;



d. პროფილური დისციპლინების ცოდნა

- i. კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ რეაბილიტაციაში
- ii. ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტი
- iii. ფიზიკური თერაპია
- iv. ფიზიკური რეაბილიტაცია:
 - ზრდასრულთა ლოკომოტორული სისტემის დაავადებების დროს
 - ნერვული სისტემის პათოლოგიის დროს
 - სასუნთქი სისტემის პათოლოგიის დროს
 - გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის დროს
 - ბავშვთა და მოზარდთა ასაკში
 - გერიატრიულ პრაქტიკაში
- v. უუნაროთა და ხანდაზმულთა რეინტეგრაცია
- vi. დამხმარე საშუალებები რეაბილიტაციაში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა დისციპლინების შესწავლის პროცესში ითვალისწინებს მათ მემკვიდრეობითობას და ეტაპების (ორი ეტაპი: მე-4 სემესტრის და მე-6 სემესტრის შემდეგ) გადალახვას, რაც გულისხმობს დავალიანებული საგნის განმეორებითი შესწავლის შესაძლებლობას მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ეტაპის დასრულებამდე.



სასწავლო გეგმა

№	დისციპლინა	კრედიტი
	I სემესტრი	30
1	საორიენტაციო კურსი	1
2	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა	4
3	სამედიცინო ქიმია	3
4	სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით	3
5	ციტოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია	3
6	ანატომია 1	8
7	პროფესიული ლათინური ენა	2
8	აკადემიური წერის საფუძვლები	2
9	საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციოლოგია	2
10	უცხოური ენა 1	2
	II სემესტრი	30
1	სამედიცინო ბიოქიმია	2
2	კერძო ჰისტოლოგია	3
3	ანატომია 2	7
4	ფიზიოლოგია 1	5
5	მიკრობიოლოგია	2
6	სამედიცინო პარაზიტოლოგია	2
7	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2
8	ბიოეთიკა	1
9	ფსიქოლოგიის საფუძვლები	2
10	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	1
11	უცხოური ენა 2	2
12	არჩევითი საგანი	1
	III სემესტრი	30
1	პათოლოგიური ანატომია	3
2	პათოფიზიოლოგია	3
3	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3
4	ბიომექანიკა, კინეზიოლოგია 1	5
5	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია 1	4



6	დინამიკური ანატომია 1	4
7	ფიზიოლოგია 2	5
8	მედიცინის ისტორია	1
9	უცხოური ენა 3	2
	IV სემესტრი	30
1	ბიომექანიკა, კინეზიოლოგია 2	5
2	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია 2	5
3	დინამიკური ანატომია 2	5
4	დიაგნოსტიკის საფუძვლები	5
5	ლაბორატორიული საქმე	2
6	რადიოლოგიის საფუძვლები	2
7	მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები	2
8	ჰიგიენა	2
9	არჩევითი საგანი	2
პრეკლინიკური ეტაპი		
	V სემესტრი	30
1	შინაგანი მედიცინა	5
2	ზოგადი ქირურგია	3
3	ნევროლოგია	5
4	მეანობა და გინეკოლოგია	2
5	ონკოლოგია	2
6	ოფთალმოლოგია	1
7	დერმატოლოგია	1
8	ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია 1	4
9	კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 1	3
10	მასაჟის ზოგადი საფუძვლები	2
11	არჩევითი საგანი	2
	VI სემესტრი	30
1	პედიატრია	2
2	ბავშვთა ნევროლოგია	2
3	რევმატოლოგია	3
4	ტრავმატოლოგია, ორთოპედია	4
5	გერიატრია	2



6	მანუალური თერაპია და აკუპრესურა	3
7	დამხმარე საშუალებები რეაბილიტაციაში	2
8	ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია 2	3
9	კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 2	3
10	ლოგოპედია	3
11	სამკურნალო ტურიზმი	2
12	არჩევითი საგანი	1
	VII სემესტრი	30
1	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები	10
2	სამკურნალო ვარჯიში	7
3	სპორტული მედიცინა	3
4	სამკურნალო მასაჟი	4
5	ადაპტიური ფიზიკური აღზრდა	4
	არჩევითი საგანი	2
პრეკონსოლიდაციური ეტაპი		
	VIII სემესტრი	30
1	ფიზიკური რეაბილიტაცია პულმონოლოგიაში	4
2	ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში	5
3	ფიზიკური რეაბილიტაცია ნევროლოგიაში	5
4	ფიზიკური რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა ასაკში	4
5	ფიზიკური რეაბილიტაცია გერიატრიაში	5
6	ფიზიკური რეაბილიტაცია ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში	5
7	არჩევითი საგანი	2
	სულ	240

სწავლების მეთოდები

- სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები – გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას და მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, სიტუაციური თამაშები) სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების ფორმებია:
 - ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სემინარები, კოლოქვიუმები;
 - სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება;
 - კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები;
 - კლინიკურ გარემოში სწავლება;
 - სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა.

სასწავლო პროგრამაში გამოყენებული ზოგიერთი მეთოდის განმარტება:

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება-სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება– აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების (ე. წ. "კეისების") გადაჭრის გზით.
- სწავლა გამოცდილებით – გამოიყენება ძირითადად კლინიკური სწავლების პერიოდში. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შეძენის გზით, მის საფუძველზე. ეს არის მიზანმიმართული აქტივობის პროცესი და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - კლინიკური პრაქტიკული გამოცდილება – აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;
 - შეგრძნებები – ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნობს სტუდენტი;
 - შეფასება – რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში;
 - გამოცდილების ანალიზი – რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება კარგი ან ცუდი;
 - დასკვნა – კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად?
 - შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა – რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში?
- ჯგუფური მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს.
- გონებრივი იერიში (Brain storming) – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი,სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას.
- დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს.



სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სისტემის საფუძველი:

- ბოლონის პროცესი – ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემა (ECTS)
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის #785 ბრძანება
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები, 2016 წელს შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

ერთი აკადემიური წელი საშუალოდ მოიცავს 60 კრედიტს. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

შეფასების სისტემით დაშვებულია:

- ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.
 - ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - (Fx) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგნის/სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;
 - დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
 - შუალედურ შეფასებას;
 - დასკვნითი გამოცდის შეფასებას.



შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/დისციპლინის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 5 დღეში.

2011-2012 სასწავლო წლიდან სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება პორთფოლიო.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები .

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სიმულაციური კლასები, საუნივერსიტეტო ბაზები და შესაბამისი პროფილის კლინიკები.

დასაქმების სფეროები

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების/დასაქმების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებსა და მიმართულებებზე. პროგრამის ათვისების შემდგომ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს მრავალპროფილური და სპეციალიზებული კლინიკის რეაბილიტაციის განყოფილებაში, მრავალპროფილურ და სპეციალიზებულ რეაბილიტაციის ცენტრში, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, საკურორტო და ველნეს ცენტრებში, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სარეაბილიტაციო სამსახურში.

დიპლომისშემდგომი განათლება

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში. დიპლომისშემდგომი განათლების ეტაპი ემსახურება სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში და ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის გამოყენებას ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობის დროს.